

განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის
საერთაშორისო ინსტიტუტი

International Institute for Education Policy, Planning and
Management



„ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან ასოცირება:
უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა მდგრადი
განვითარებისთვის“

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, მთელი
სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობისათვის აღებული
ვალდებულებების შესრულების

შეფასება

2020

ანგარიში მოამზადა განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა პროექტის “*ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან ასოცირება: უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა მდგრადი განვითარებისთვის*” ფარგლებში.

პროექტის ჯგუფი:

გიორგი მაჩაბელი, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. პროექტის ხელმძღვანელი.

თამარ სანიკიძე, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელი.

მაია გელაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მკვლევარი

ნინო ბეგიაშვილი, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი. მკვლევარი.

წინამდებარე შეფასება წარმოადგენს პროექტის “*ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან ასოცირება: უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა მდგრადი განვითარებისთვის*” ნაწილს. პროექტი ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდი-საქართველოს მხარდაჭერით.

მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ

2019 წლის სექტემბრიდან განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა დაიწყო პროექტის “ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან ასოცირება: უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა მდგრადი განვითარებისათვის” განხორციელება. პროექტის საკვანძო თემას საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობისათვის აღებული ვალდებულებები წარმოადგენს. პროექტის მიზანია საზოგადოებისა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ცნობიერების ამაღლება ვალდებულების შესრულებით მიღებული სარგებლის შესახებ და მათი ჩართულობის ხელშეწყობა სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების შესრულების პროცესში.

პროექტის ფარგლებში დადგინდება განათლებისა და ტრენინგის სფეროში ევროკავშირის პოლიტიკასა და პრაქტიკასთან დაახლოებისათვის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ხარისხი და განისაზღვრება თუ რა გავლენა ექნება ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას საქართველოს საგანმანათლებლო და ეკონომიკურ სფეროებზე. დაინერგება ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და ადვოკატირების თანამონაწილეობითი მექანიზმები.

პროექტი ხორციელდება ღია საზოგადოების ფონდი - საქართველოს მხარდაჭერით. პროექტის განხორციელების არეალია თბილისი, სამცხე ჯავახეთი, კახეთი, სამეგრელო და აჭარა.

მოკლე ინფორმაცია წინამდებარე კვლევის შესახებ

აღნიშნული კვლევა ითვალისწინებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008 წლის რეკომენდაციის - „მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის“ შესრულების დონის შესაფასებლად შესაბამისი დოკუმენტაციის მოძიებასა და დამუშავებას. კვლევითი საქმიანობების განხორციელების ფარგლებში შეგროვდა ოფიციალურად ხელმისაწვდომი მონაცემები აღებული ვალდებულებების შესრულების ფაქტიური მდგომარეობის შესახებ და ამ მიზნით 2020 წლის იანვრის თვეში გამოთხოვნილ და გაანალიზებულ იქნა დოკუმენტაცია (საჯარო ინფორმაციის სახით) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან.

1. არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ (შემდგომში - ასოცირების შეთანხმება), რომელიც რატიფიცირებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2014 წლის 18 ივლისს¹. ასოცირების შეთანხმების 361-ე მუხლის თანახმად „**საქართველო მოახდენს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოებას წინამდებარე შეთანხმების XXXII დანართში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან, ამავე დანართის დებულებების შესაბამისად**“. ასოცირების შეთანხმების 358-ე და 359-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, ქვეყნისათვის პრიორიტეტულია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების, აკადემიურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების, საერთაშორისო მობილობის ზრდის, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, განათლების ყველა საფეხურის რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის, ასევე კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აღიარების მიმართულებით პროგრესის ხელშეწყობა. ასოცირების შეთანხმების XXXII დანართში მითითებული დოკუმენტებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2017 წლის 22 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაცია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის „კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს“ ჩამოყალიბების თაობაზე (2017/ჩ 189/03). დოკუმენტში მოცემულია ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს სწავლის შედეგზე დაფუძნებული კვალიფიკაციების გამჭვირვალობას, შესაძარობასა და აღიარებას ევროპის დონეზე. დოკუმენტის პრინციპია სწავლის შედეგზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა. ასოცირების შეთანხმების მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართულებები ასახულია საქართველოს მთავრობის 533-ე დადგენილებით დამტკიცებული „განათლებისა და მეცნიერების განვითარების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“-ში².

განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრირებისათვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე თავსებადი და გამჭვირვალე ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის არსებობა. შესაბამისად, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს საკანონმდებლო ბაზა მოქმედი „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს“ თვისებრივი მოდიფიცირებისათვის, რაც გულისხმობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეების განსაზღვრას და მათ აღწერას სწავლის შედეგების მიხედვით. შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებით ხელი შეეწყობა საერთაშორისო დონეზე თავსებადი და გასაგები კვალიფიკაციების არსებობას, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს საერთაშორისო მობილობის პროცესს. ასევე ხელს

¹ საქართველოს, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს

² განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2017.

http://mes.gov.ge/uploads/MESStrategy_2017-2021.pdf

შეუწყობს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ურთიერთდაკავშირებას, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლას და გამორიცხავს სისტემაში საგანმანათლებლო ჩიხების არსებობას. განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო უზრუნველყოფს განათლების სისტემაში საზოგადოების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვასა და მისი შესაბამისი, განახლებადი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირებას.

რეკომენდაციების შესრულების მიზნით, სისტემური ცვლილებების განსახორციელებლად, 2014 წლიდან მიმდინარეობს მუშაობა კვალიფიკაციების ერთიანი ჩარჩოს შესამუშავებლად³, რაც ერთიან სტრუქტურაში გააერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას და ერთმანეთთან დააკავშირებს განათლების ქვესისტემებს (ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას). შესაბამისად, მოხდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დაკავშირება ევროპის ორ მეტა ჩარჩოსთან, ესენია უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო (QF-EHEA)⁴ და კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის (EQF-LLL)⁵.

ერთიანი ჩარჩოს მიზნებად განისაზღვრება: ა) კვალიფიკაციების კლასიფიცირება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შემდეგი ძირითადი პრინციპების დაცვით: სწავლის შედეგების შესაბამისობა, ხარისხის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; ბ) ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ურთიერთდაკავშირება, მართვა და განვითარება; გ) მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა; დ) ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა; ე) კვალიფიკაციების თავსებადობის, შესადარობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საერთაშორისო დონეზე; ვ) მობილობის ხელშეწყობა; ზ) სწავლის პერიოდში მიღებული ფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობა; თ) არაფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობა; ი) საზოგადოების ინფორმირება არსებული კვალიფიკაციების შესახებ; კ) განათლების სისტემაში საზოგადოების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნების ასახვა და მისი შესაბამისი, განახლებადი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირება.

აღსანიშნავია, რომ ჩარჩოს დანიშნულება განიხილება, როგორც სისტემის რეფორმირების ინსტრუმენტი და ქვეყნები იყენებენ მას ინსტიტუციური და სტრუქტურული ცვლილების განსახორციელებლად.

2. კვლევის შედეგები

საკითხის შესწავლა განხორციელდა 2020 წლის იანვარ-თებერვლის პერიოდში. შესწავლის ობიექტად განისაზღვრა საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის ოქტომბერში დამტკიცებული ცვლილებები განათლების ხარისხის განვითარების, უმაღლესი

³ იხ.: <https://eqe.ge/geo/static/617/national-qualifications-framework/>

⁴ Qualifications Frameworks in the EHEA 2007-2009. იხ.: <http://www.ehea.info/cid102843/overarching-framework-qualifications-the-ehea-2009.html>

⁵ კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის იხ.: <https://ec.europa.eu/ploteus/en/content/descriptors-page>

განათლების, პროფესიული განათლებისა და ზოგადი განათლების შესახებ კანონებში, რომლებიც ეხება ასოცირების შეთანხმების 358-ე და 359-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების, აკადემიურ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერების, საერთაშორისო მობილობის ზრდის, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის, განათლების ყველა საფეხურის რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის, ასევე კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აღიარების მიმართულებით პროგრესის ხელშეწყობას. შესწავლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ასოცირების შეთანხმების შესრულების მხარდამჭერი საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების შეფასება.

შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან და სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გამოთხოვილი იქნა დეტალური საჯარო ინფორმაცია. მოკვლევის ინტერესს წარმოადგენდა მითითებული კანონებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით განხორციელებული სამუშაოები, კანონქვემდებარე აქტების შემუშავება-ინიცირების და დამტკიცების მიმართულებით არსებული ფაქტობრივი სიტუაცია და სხვა. შესწავლილ იქნა საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები და მათი საფუძვლები, ასევე, განხორციელებული სამუშაოები. გაანალიზდა მმართველობითი უწყებების ვებგვერდებზე განთავსებული საჯარო ინფორმაცია. განხორციელდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდის მონიტორინგი.

საკითხის შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის საქართველოს პარლამენტში ინიცირება განხორციელდა 2017 წლის დეკემბერში, რომელიც პარამალენტმა დაამტკიცა და ძალაში შევიდა 2018 წლის 6 ოქტომბერს. ცვლილებები შევიდა განათლების ხარისხის განვითარების, უმაღლესი განათლების, პროფესიული და ზოგადი განათლების შესახებ კანონებში. კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ვკითხულობთ⁶, რომ „**კანონის მიზანს წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცებისათვის, ასევე მათთან დაკავშირებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის საჭირო საკანონმდებლო საფუძვლის შექმნა**“. კანონპროექტის მიზანს ასევე წარმოადგენს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან დაკავშირებული რელევანტური დეფინიციების არსებობა საკანონმდებლო დონეზე, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მნიშვნელოვანი ტერმინების ერთგვაროვანი გაგება და ისინი საერთო და მისაღები იყოს მთელი სისტემისათვის (უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი განათლების ჭრილში) და ზოგადად საზოგადოებისათვის.

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად:

⁶ განმარტებითი ბარათი “განათლების ხარისხის განვითარების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2017. <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/167535>

- განისაზღვრა კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაკავშირებული ტერმინები (მათ შორის, განიმარტება „ფორმალური განათლების“ და „არაფორმალური განათლების“ ცნებები);⁷
- გაჩნდა ვალდებულება, რომ დამტკიცდეს ახალი კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. ასევე, განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამების მოქმედ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის ეტაპები;⁸
- გაჩნდა ვალდებულება, რომ დამტკიცდეს კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვისა და განვითარების და მისი მონიტორინგის წესი, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესები, არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები და წესი;⁹
- გაჩნდა „ასოცირებული ხარისხისა“ და „მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების“ განმარტებები, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს „საგანმანათლებლო ჩიხების“ აღმოფხვრაში. აგრეთვე, დადგინდა მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების გზები;¹⁰
- ამოქმედდება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე პროგრამების მოცულობასთან დაკავშირებული ახალი რეგულაციები. კერძოდ, განისაზღვრება საგანმანათლებლო შემთხვევები, რომლის ფარგლებშიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები შეძლებენ შეიმუშაონ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს ან/და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს. აქვე განისაზღვრა ვალდებულება, რომ შემუშავდეს წესი, რომელიც განსაზღვრავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის შემადგენელ კომპონენტებსა და კრედიტების განაწილების პრინციპებს.¹¹

საკანონმდებლო ცვლილებები ადგენს კანონქვემდებარე აქტების ჩამონათვალს, ინიცირების წესსა და მათი დამტკიცების ვადებს. კანონი განსაზღვრავს შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების დამტკიცების ორ ვადას. კერძოდ, კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადა ეხება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს და სწავლის სფეროების

⁷ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონს“ დაემატა 2¹ მუხლი - „ტერმინთა განმარტებები“.

⁸ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონს“ დაემატა IV² თავი - „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“.

⁹ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის“ 24³ და 24⁴ მუხლები.

¹⁰ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ვ“²⁴ და „ჰ“³⁰, 46¹ მუხლი.

¹¹ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის „პ“¹⁴ და 46 მუხლის 2³ პუნქტი.

კლასიფიკატორის დამტკიცებას, ხოლო დანარჩენი მარეგულირებელი დოკუმენტების დამტკიცებისათვის (7 აქტი) განსაზღვრულია 6 თვიანი ვადა. კანონის მიხედვით განსაზღვრული 3 თვიანი ვადა ამოიწურა 2019 წლის 6 იანვარს, ხოლო 6 თვიანი ვადა - 2019 წლის 6 აპრილს.

კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, აგრეთვე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გამოთხოვნილი იქნა დეტალური საჯარო ინფორმაცია. სამინისტროს ეთხოვა, მითითებული კანონებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტების გამოგზავნა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მითითებული კანონებით გათვალისწინებული ვალდებულებები ინფორმაციის გამოთხოვნის მომენტისათვის არ იყო შესრულებული, შესაბამისი ინფორმაციის მონოდება თითოეული კანონქვემდებარე აქტის დამტკიცებისათვის განხორციელებული სამუშაოების შესახებ. კერძოდ, მომზადებულია თუ არა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების პროექტები, განხორციელდა თუ არა მათი ინიცირება და რა ვადაშია დაგეგმილი მათი დამტკიცება. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს ეთხოვა ინფორმაციის მონოდება, კანონის ვალდებულებიდან გამომდინარე, რამდენად უზრუნველყო ცენტრმა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში ინიცირება.

მიმდინარე კვლევის ფარგლებში სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაცია არ იქნა სრულყოფილად წარმოდგენილი. კერძოდ, განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის № 69736, 23.01.2020) პასუხად, 2020 წლის 03 თებერვლის N116653 კორესპონდენციით, ინსტიტუტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-10, 28-ე, 37-ე, მე-40 მუხლების გათვალისწინებით ეცნობა, რომ:

1) „უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (3438-1ს, 20.09.2018) საქართველოს კანონიდან გამომდინარე მიღებულია „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის 206/ნ ბრძანება.“

რაც შეეხება ამავე საკითხზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მონოდებულ ინფორმაციას (2020 წლის 31 იანვრის N111684 წერილი), იკვეთება, რომ „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60

კრედიტს) შემუშავების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების თავდაპირველი პროექტის ინიცირება განხორციელდა 2019 წლის 29 მარტს. აქვე ცენტრი განმარტავს, რომ სამინისტროსთან არაერთგზის კომუნიკაციის შედეგად, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული პროექტის ინიცირება განხორციელდა 2019 წლის 02 მაისს. ამრიგად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის №206/ნ ბრძანებით დამტკიცდა „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესი“, რომელშიც, ამ დრომდე, ცვლილება არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დოკუმენტი დამტკიცებულ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის (კანონის მიღებიდან 6 თვიანი ვადა) დარღვევით, 2019 წლის 30 სექტემბერს, ნაცვლად 2019 წლის 6 აპრილამდე განსაზღვრული დამტკიცების ვადისა.

2) „რაც შეეხება სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს, აღნიშნული საკითხები დარეგულირებულია "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით.“

ამავე საკითხზე, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციით (2020 წლის 31 იანვრის N111684 წერილი), „სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების პროექტის ინიცირება განხორციელდა 2019 წლის 29 მარტს და აღნიშნულ საკითხზე კვლავ მიმდინარეობს მუშაობა.

შესაბამისად, აღსანიშნავია, რომ სამინისტროს მიერ წარმოდგენილი განმარტება აცდენილია, როგორც მის სისტემაში შემავალი და კონკრეტული სამართლებრივი აქტის ინიცირებაზე პასუხისმგებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის განმარტებასთან, ასევე, რაც მთავარია, „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ინიცირებული და დამტკიცებული ცვლილების ძირითად მიზანთან და არსთან. საყურადღებოა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში ინიცირებული ცვლილებების საკანონმდებლო ორგანოში განხილვის პროცესში, კერძოდ, მე-2 მოსმენის ეტაპზე, სწორედ სამინისტროს მიერ დაფიქსირებული შენიშვნის გზით დაემატა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამოსილებების ჩამონათვალში კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ¹⁵“ ქვეპუნქტი - „ამტკიცებს სტუდენტისათვის სტუდენტის

სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესსა და პირობებს;¹². სამინისტრო შენიშვნაში მიუთითებდა, რომ მას უნდა ჰქონოდა სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების უფლებამოსილება, რაც გაზიარებულ იქნა საკანონმდებლო ორგანოს მიერ და საბოლოოდ აისახა კიდევ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში. ამდენად, სამინისტროს მიუთითება *მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/6 ბრძანებაზე* არასწორია, როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი თვალსაზრისით.

უშუალოდ სამინისტროს მიერ მიუთითებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N10/6 ბრძანებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ ბრძანება მიღებულია 2010 წლის 4 თებერვალს.

თავდაპირველად ამ ბრძანების სათაური იყო „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“. შესაბამისად, ამ ბრძანების დამტკიცების საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც, მინისტრი „განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესს“.

2012 წლის 24 იანვარს განხორციელებული ცვლილებით N10/6 ბრძანების სათაური შეიცვალა და ჩამოყალიბდა დღეისათვის არსებული სახით. კერძოდ, დაემატა „საფასურის დამტკიცების“ ნაწილი. აღნიშნული განპირობებული იყო 2011 წლის 25 ნოემბერს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ანალოგიური შინაარსის ცვლილებით.

2012 წლის 10 აპრილს კიდევ ერთხელ შეიცვალა კანონის დასახელებული პუნქტი და მასში დაემატა დათქმა, რომლის მიხედვითაც, გარდა ერთი დაწესებულებიდან მე-2 დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურებისა, მინისტრი ასევე ამტკიცებდა: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის წესსა და საფასურებს“. ეს ფორმულირება კვლავ შეიცვალა 2012 წლის 12 ივნისს შემდეგი სახით: „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლის წესს“.

ამ ცვლილებებიდან გამომდინარე, 2012 წლის 29 ივნისს განხორციელდა ცვლილება N10/6 ბრძანებაში, რომლის მიხედვითაც ამავე ბრძანების რეგულირების სფეროს დაემატა შიდა

¹² შესაბამისი შენიშვნების ფურცელი იხ. <https://info.parliament.ge/file/1/BillPackageContent/10677?>

მობილობის რეგულაციების მონესრიგებაზე მითითებაც. მოცემულ შემთხვევაში ბრძანების სათაურიდან ნათელია, რომ იგი უნდა ეხებოდეს ერთი დაწესებულებიდან სხვა დაწესებულებაში გადასვლის წესს, თუმცა მისი რეგულირების სფერო ერთი დაწესებულების შიგნით - შიდა მობილობასაც შეეხება. №10/6 ბრძანებით შინაარსობრივად განსხვავებული თემების მონესრიგების მიუხედავად, შიდა მობილობის წესების რეგულირების თვალსაზრისით, საკანონმდებლო საფუძვლის არსებობა ეჭვგარეშეა.

საკანონმდებლო საფუძვლის ნაწილში, საგულისხმოა №10/6 ბრძანებაში არსებული ის რეგულაციები, რომლებიც შეეხება სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას. **№10/6 ბრძანებაში სტუდენტის სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული რეგულაციები:**

№10/6 ბრძანების თავდაპირველ ვერსიაშივე ჩნდება სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები, ასევე სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული დამატებითი რეგულაციები, რომლებიც ამ წესის მიზნებისთვის შეიძლება იქნას გამოყენებული:

თავდაპირველი რედაქცია	შემდგომი ცვლილებების შედეგად
<p>მუხლი 3. მობილობის უფლების მქონე პირი</p>	<p>მუხლი 3. მობილობის უფლების მქონე პირი</p>
<p>1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის:</p> <p>ა) დაწესებულების სტუდენტი;</p> <p>ბ) არაკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, რომელსაც გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით აკრედიტებულად ეთვლება.</p>	<p>1. მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის დაწესებულების სტუდენტი.</p>
<p>2. მობილობის უფლება ასევე აქვთ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ბ“</p>	<p>2. მობილობის უფლება ასევე აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტით</p>

<p>ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ პირებს, რომლებსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვთ დაწესებულების სტუდენტის სტატუსი.</p>	<p>გათვალისწინებულ პირს, რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს დაწესებულების სტუდენტის სტატუსი, ასევე პირს, რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართავს, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.</p>
<p>3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.</p>	<p>3. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება დაწესებულებისა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.</p>
<p>4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: აკადემიური შვებულება; ავადმყოფობა; უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა; ფინანსური დავალიანება ან დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.</p>	<p>4. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია: პირადი განცხადება (მიზმის მითითების გარეშე); უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა; ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; ფინანსური დავალიანება ან დაწესებულების წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოება.</p>
<p>5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი განისაზღვრება დაწესებულების წესდებით და შეიძლება</p>	<p>5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5-წლიანი ვადის გასვლა,</p>

<p>უკავშირდებოდეს დანესებულების საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან ექვსი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დანესებულების წესდებასთან.</p>	<p>გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა, ან დანესებულების წესდებით განსაზღვრული სხვა საფუძველი, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს დანესებულების საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობას ან სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დანესებულების წესდებასთან.</p>
<p>6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>	<p>6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p>
<p>7. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დანესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, დანესებულება ვალდებულია უზრუნველყოს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დანესებულებების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების რეესტრში (შემდგომში –</p>	<p>7. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დანესებულების სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, დანესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საგანმანათლებლო დანესებულებების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) სტუდენტის სტატუსის შეჩერების</p>

რეესტრი) სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.	რეგისტრაცია.
8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია აკრედიტაციის შედეგად განსაზღვრული სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.	8. სტუდენტის სტატუსის აღდგენა იმ დაწესებულებაში, სადაც პირს შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი, დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
9. სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.“	9. სტუდენტები, რომელთა დაწესებულებები ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, ამ წესის მიზნებისათვის მიიჩნევიან სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე ვრცელდება ამ წესით დადგენილი პირობები.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტის სტატუსი შეჩერების ცნებას საერთოდ არ ითვალისწინებდა 2010 წლის 04 თებერვალს მოქმედი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. იმ დროს კანონში არსებობდა ჩანაწერი მხოლოდ სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებით, 43-ე მუხლის (სტუდენტის უფლებები) მე-12 პუნქტის სახით: „სტუდენტის სტატუსი წყდება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში“.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რეგულაცია ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის დამოუკიდებელი მოწესრიგების საფუძველს (მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „პ“¹⁵ ქვეპუნქტი). ამ წესის დამტკიცება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კანონით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების (ტექნიკური

თვალსაზრისით, ახალი აქტის დამტკიცების) თვალსაზრისით, არამედ შინაარსობრივად სტუდენტის სტატუსის ირგვლივ პრაქტიკულად დამკვიდრებული მიდგომის დახვეწისა და სწორი საკანონმდებლო მოწესრიგების თვალსაზრისითაც.

3) „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (N3437-1ს, 20.09.2018) საქართველოს კანონიდან გამომდინარე მიღებულია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანება, რომლითაც ასევე დადგინდა კანონის ამოქმედებამდე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის უზრუნველყოფის ეტაპები.“

რაც შეეხება ამავე საკითხზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას (2020 წლის 31 იანვრის N111684 წერილი), იკვეთება, რომ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების თავდაპირველი პროექტის ინიცირება ცენტრის მხრიდან განხორციელდა 2018 წლის 11 დეკემბერს. ამასთან, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან არაერთგზის წერილობითი და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის შედეგად, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული პროექტი ინიცირებულ იქნა 2019 წლის 20 მარტს. შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცდა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორი“. აღნიშნულ ნორმატიულ აქტში განხორციელდა ცვლილება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 13 სექტემბრის №192/ნ ბრძანებითა და 2020 წლის 10 იანვრის №03/ნ ბრძანებით.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი დამტკიცებულ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის (კანონის მიღებიდან 3 თვიანი ვადა) დარღვევით, 2019 წლის 10 აპრილს, ნაცვლად 2019 წლის 6 იანვრამდე განსაზღვრული დამტკიცების ვადისა.

4) „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესთან“ დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ამ ეტაპისათვის ინიცირებულია აღნიშნული პროექტი და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან მიმდინარეობს შეთანხმების პროცესი.“

რაც შეეხება ამავე საკითხზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას (2020 წლის 31 იანვრის 111684 წერილი), იკვეთება, რომ დასახელებული წესების თავდაპირველი პროექტის ინიცირება ცენტრის მიერ განხორციელდა 2019 წლის 29 მარტს. თუმცა, სამინისტროსთან არაერთგზის წერილობითი და ზეპირსიტყვიერი კომუნიკაციის შედეგად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ შესაბამის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან შეთანხმებული საბოლოო სახით ჩამოყალიბებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის, კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების პროექტის ინიცირება განხორციელდა 2020 წლის 24 იანვარს.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული დოკუმენტები დამტკიცებული უნდა ყოფილიყო თავდაპირველად კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის (კანონის მიღებიდან 6 თვიანი ვადა) დაცვის შემთხვევაში, 2019 წლის 6 აპრილამდე.

5) „რაც შეეხება „არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურებსა და წესს“, "პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებულია "არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის 188/ნ ბრძანება.“

ამავე საკითხზე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებულ ინფორმაციის (2020 წლის 31 იანვრის 111684 წერილი) თანახმად „არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანების თავდაპირველი პროექტის ინიცირება განხორციელდა 2019 წლის 28 თებერვალს. თუმცა, სამინისტროსთან მოლაპარაკებების შედეგად, საბოლოო სახით ჩამოყალიბებული პროექტი ინიცირებულ იქნა 2019 წლის 30 აგვისტოს. შესაბამისად, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის №188/ნ ბრძანებით დამტკიცდა "არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი". ამასთან, აღნიშნულ ბრძანებაში ცვლილება არ განხორციელებულა. აქვე აღსანიშნავია, რომ არაფორმალური განათლების აღიარების საკითხთან მიმართებით გამოცემულ იქნა "არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების წესისა და პირობების და არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების საფასურის დამტკიცების შესახებ"

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის №459 დადგენილება. აღნიშნულ აქტში ცვლილება არ განხორციელებულა.

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი დამტკიცებულ იქნა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის (კანონის მიღებიდან 6 თვიანი ვადა) დარღვევით, 2019 წლის 6 სექტემბერს, ნაცვლად 2019 წლის 6 აპრილამდე განსაზღვრული დამტკიცების ვადისა.

შესაბამისად, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, ცხადია, რომ რიგ შემთხვევაში, სამართლებრივი აქტები დამტკიცებულია კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, ხოლო რიგ შემთხვევაში, აქტები ამ დრომდე არ არის დამტკიცებული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სამინისტრო, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, არ აკეთებს რაიმე განმარტებას იმ გარემოებების შესახებ, თუ რამ გამოიწვია კანონდარღვევები.

ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საკუთრივ სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით, კანონის ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში (შესაბამისად, 2019 წლის 6 აპრილი) უნდა დამტკიცებულიყო სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვისა და განვითარების, ასევე სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მონიტორინგის წესი. ცენტრის განმარტებით, ეს კანონქვემდებარე აქტები დამტკიცდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადის დარღვევით - ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანებით.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების დამტკიცების ვადების გადამონშების მიზნით, ინსტიტუტის მიერ განხორციელდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდის მონიტორინგიც. კვლევის ფარგლებში მოძიებული ყველა ინფორმაცია თავმოყრილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში¹³:

დასამტკიცებელი სამართლებრივი აქტის დასახელება	ინიცირებაზე პასუხისმგებელი ორგანო	ინიცირების თარიღი (ცენტრის წერილის მიხედვით)	აქტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო	კანონის მიხედვით აქტის დამტკიცების ვადა	სამართლებრივი აქტების სტატუსი (კვლევის ჩატარების დროისათვის)
---	-----------------------------------	--	--	---	--

¹³ დოკუმენტების სტატუსების შესახებ ინფორმაცია ცხრილში მოცემულია, როგორც შესაბამისი უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის მიღების მომენტისათვის, ასევე საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდის 2020 წლის თებერვლის თვის მონიტორინგის შედეგების მიხედვით.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	2018 წლის 11 დეკემბერი/2019 წლის 20 მარტი	საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2019 წლის 6 იანვარი	„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანება.
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მართვისა და განვითარების წესი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	2019 წლის 29 მარტი/2020 წლის 24 იანვარი	საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2019 წლის 6 აპრილი	არ დამტკიცდა
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მონიტორინგის წესი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	2019 წლის 29 მარტი/2020 წლის 24 იანვარი	საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2019 წლის 6 აპრილი	არ დამტკიცდა
კვალიფიკაციების ელექტრონული რეესტრის შექმნისა და ადმინისტრირების წესი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	2019 წლის 29 მარტი/2020 წლის 24 იანვარი	საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2019 წლის 6 აპრილი	არ დამტკიცდა
არაფორმალური განათლების	სსიპ განათლების	2019 წლის 28	საქართველოს განათლების,	2019 წლის 6	„არაფორმალური განათლების

აღიარების პროცედურები და წესი	ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	თებერვალი/ 2019 წლის 30 აგვისტო	მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	აპრილი	ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის 188/ნ ბრძანება.
სწავლის სფეროების კლასიფიკატორი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	2018 წლის 11 დეკემბერი/2019 წლის 20 მარტი	საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2019 წლის 6 იანვარი	„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანება.
სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	-	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	2019 წლის 6 აპრილი	„სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის

					წესის" დამტკიცების შესახებ ცენტრის დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №666/ი ბრძანება
ავტორიზებულ/აკრედიტებულ რეჟიმში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის ეტაპები	სამინისტროს დავალებით: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	2018 წლის 11 დეკემბერი/2019 წლის 20 მარტი	საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2019 წლის იანვარი	„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანება
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის, რომელიც მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის, რომელიც მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს, შემუშავების წესი	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	2019 წლის 29 მარტი/2019 წლის 02 მაისი	საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2019 წლის 6 აპრილი	მიღებულია „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა (მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს) და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) შემუშავების წესის

					დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 30 სექტემბრის 206/ნ ბრძანება
სტუდენტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი და პირობი	სამინისტროს დავალებით: სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	2019 წლის 29 მარტი	საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტრო	2019 წლის 6 აპრილი	არ დამტკიცდა

3. დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევიდან იკვეთება, რომ ასოცირების შეთანხმების 358-ე და 359-ე მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, 2017 წლის 22 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციის - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისთვის „კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩოს“ ჩამოყალიბების თაობაზე (2017/C 189/03) - შერულების პროცესი, რაც თავის მხრივ, გულისხმობს განათლების ყველა საფეხურის რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის, ასევე კვალიფიკაციისა და კომპეტენციის აღიარების მიმართულებით პროგრესის ხელშეწყობას, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი ხარვეზებით, რაც აფერხებს ნაკისრი ვადებულებების ჯეროვნად შესრულებას.

მოკვლევული ინფორმაციის მიხედვით დგინდება:

- კანონით განსაზღვრულ ვადებში არ არის დამტკიცებული არც ერთი სამართლებრივი აქტი;
- აუცილებლად დასამტკიცებელი სამართლებრივი აქტებიდან ნაწილი დამტკიცებულია კანონით გათვალისწინებული ვადების დარღვევით, ხოლო ნაწილი აქტებისა ამ დრომდე საერთოდ არ არის დამტკიცებული;

- განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ დაარღვია „უმალესი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონები. კერძოდ, დარღვეულია სამართლებრივი აქტების დამტკიცების როგორც სამთვიანი, ასევე ექვსთვიანი ვადები;
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დაირღვა „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი. სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესი დამტკიცდა კანონით განსაზღვრული ვადის დარღვევით.

რეკომენდაციები:

1. მნიშვნელოვანია დადგინდეს ის გარემოებები, თუ რამ გამოიწვია სამინისტროს მიერ კანონმდებლობის უხეში დარღვევები, რის შესახებაც სამინისტრო რაიმე განმარტებას არ აკეთებს. კანონდარღვევას უნდა მიეცეს სამართლებრივი შეფასება, ხოლო სამომავლოდ დაიგეგმოს პრევენციული ზომები, რადგან მსგავსმა ქმედებამ სისტემური ხასიათი არ მიიღოს;
2. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ნორმატიული დოკუმენტების სამინისტროში ინიცირების თარიღიდან გასული ხანგრძლივი პერიოდი მიუთითებს სამინისტროსა და სსიპ-ს შორის არაკოორდინირებულ მუშაობაზე, რაც აფერხებს სისტემის მუშაობას და მოცემულ შემთხვევაში იწვევს კანონდარღვევას. მსგავსი შემთხვევის თავიდან აცილების მიზნით, სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სისტემაში შემავალ სტრუქტურებთან კოორდინირებული მუშაობა და ანგარიშვალდებულის სისტემის ჩამოყალიბება;
3. საგულისხმოა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირები, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი სუბიექტები, აღჭურვილნი არიან შესაბამისი ავტონომიურობითა და თანმდევი პასუხისმგებლობით, თუმცა „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი) თანახმად, სამინისტროს ერთ-ერთი ფუნქცია, სწორედ სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობაა. შესაბამისად, სამინისტროსა და სსიპ-ებს შორის კომუნიკაციის სტრატეგიის გაუმჯობესება, განსახორციელებელი ღონისძიებების კოორდინირებულად დაგეგმვა და ეფექტური იმპლემენტაცია მნიშვნელოვანია სამინისტროს მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელებისათვის;
4. მნიშვნელოვანია გაანალიზდეს, კანონის ვადების დარღვევის მოსალოდნელი შედეგები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების შესრულებაზე;
5. საკანონმდებლო ორგანომ უნდა განახორციელოს ზედამხედველობა მის მიერ მიღებული კანონიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ნაწილში, რაც დაკავშირებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებასთან და პირდაპირ

უკავშირდება ასოცირებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის (მე-5 თავი) თანახმად, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლს პარლამენტი უზრუნველყოფს კომიტეტების მეშვეობით. სწორედ, კომიტეტი აკონტროლებს მისი გამგებლობისათვის მიკუთვნილ სფეროში პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას. ანალოგიურად, კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია შეამოწმოს საქართველოს მთავრობის, მინისტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მათი შესრულების მდგომარეობა. ამ მიზნების მისაღწევად, მიზანშეწონილია შესაბამისმა კომიტეტებმა შეისწავლონ და გაანალიზონ კვლევაში აქცენტირებული ნორმატიული აქტების ეფექტიანობა, მათი მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ხარვეზები, განიხილონ მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები, ნორმატიული აქტების სრულფასოვნად ამოქმედების ხელშემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები და მიიღონ ზომები მათი შესრულების უზრუნველსაყოფად.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს პროცესებზე დაკვირვება და კანონის აღსრულების მონიტორინგი. ხოლო კანონქვემდებარე აქტების დამტკიცების შემთხვევაში, განხორციელდეს მათი ხარისხობრივი შეფასება, თუ რამდენად პასუხობს მიღებული გადაწყვეტილებები განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგიისა და ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს.